ხელშეკრულება №69სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV-90470000)

ერთი მხრივ, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** (ს/კ-211358957) შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **არამეწარმე ფ/პ ნოდარ კურტანიძე** (ს/კ-57001028111) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება")-შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" -კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1. ხელშეკრულების საგანი
საკანალიზაციო ჭის წმენდის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
(CPV-90470000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **- 175.00 (ას სამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე.**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % .

3. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს, ხაშურის რეგიონული არქივის ეზოში არსებული (მის: ქ. ხაშური, ხაშური, იმერეთის ქ.№6) 1 ცალი საკანალიზაციო ჭის ამოწმენდის მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

გ) მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5.მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის, უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტში აღნიშნულ მაჩვენებლებს და ამ სფეროში ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის სამეურნეო სამსახურის უფროსი, ზურაბ ენაგელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს იგი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ)ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო - 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები;

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში".

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის **„ა"** ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების ან/და **6.3** პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების **8.2** პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ- საქართველოს ეროვნული არქივი	**არამეწარმე ფ/პ ნოდარ კურტანიძე**
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1,	**დაბადების თარიღი: 12.12.1956**
ტელეფონი: 2-38-14-25,	**მისამართი**: ქ. ხაშური, წულუკიძის №5
საბანკო რეკვიზიტები:	**ტელეფონი**: 593 73 91 65;
ბანკის კოდი TRESGE22,	**საბანკო რეკვიზიტები**: სს „ თიბისი ბანკი“
სახელმწიფო ხაზინა,	**ანგ.№** : GE10TB7129245061100063
ანგ.№ GE24NB0330100200165022,	**ბანკის კოდი:** TBCBGE22
ს/კ – 211358957	**პ/ნ** 57001028111